ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 09-73/1

ქ. თბილისი 22 **სექტემბერი, 2017 წ.**

შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა ბერიძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2 200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს „ლიზი ჯორჯია“ წარმოდგენილი მისი დირექტორის **გოჩა ლაფაჩის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გეოვანის ქN36
TEL:593730110
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,პროკრედიტ ბანკი“; კოდი: MIBGGE22; ა/ა GE81PC0133600100063179
საიდენტიფიკაციო კოდი 205289230

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს¹" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 ,,საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანია ელემენტების CPV31400000 შესყიდვა, რომლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტით გათვალისწინებულ ცხრილში.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **400.00 (ოთხასი) ლარს.**
3.2 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ერთეულის ფასი მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

№	დასახელება	სპეციფიკაცია	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1.	ელემენტი მიკროფონებისთვის	ENERGIZER AA	200	2.00	400.00
				სულ ჯამი:	400.00

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების, მიღება-ჩაბარების აქტისა და კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
4.5 დაფინანსების წყარო: 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, („განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი 320101).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტის 8.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.
5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი გიორგი გურგენიძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დ.უზნაძის N52.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1. შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. იგი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე. მოწოდებული საქონელი ექსპლუატაციაში შესვლის დროს უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში.
7.1.2 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წუნდებული საქონლის გამოცვლა შეტყობინებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.
7.1.3 დეფექტიანი ან ნაკლოვანი საქონლის ჩანაცვლებისას შემსყიდველს მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის, იგივე ან გაუმჯობესებული მონაცემების მქონე საქონელი.
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 შემსყიდველი ვალდებულია:
7.3.1 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:
8.1.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობების შესაბამისობას და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
8.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი გია გუჯარაიძე.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ პუნქტის 10.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.
9.4 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
14.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

15.ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	შპს „ლიზი ჯორჯია“ დირექტორი
მამუკა ბერიძე	გოჩა ლაფაჩი

მიღება–ჩაბარების აქტი № 09-73/1

ქ. თბილისი 25 სექტემბერი, 2017 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის **გიორგი გურგენიძის** სახით და მეორეს მხრივ "მიმწოდებელი", **შპს „ლიზი ჯორჯია"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **გოჩა ლაფაჩის** სახით,

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2017 წლის 22 სექტემბერს გაფორმებული №09-73/1 ხელშეკრულების თანახმად "მიმწოდებელმა", 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის („განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი 320101) დაფინანსების ფარგლებში, უზრუნველყო 200 ელემენტის მოწოდება, საერთო ღირებულებით **400.00 (ოთხასი)** ლარი.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **400.00 (ოთხასი)** ლარს.
(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

მოწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს **400.00 (ოთხასი)** ლარს.
(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ჩააბარა:

შპს „ლიზი ჯორჯია" /გ. ლაფაჩი/

მიიღო:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი /გ. გურგენიძე/

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0332319781

2	25/09/2017

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	16:27:17

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს ლიზი ჯორჯია	205289230
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	202051224
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ქ.თბილისი დიდი დიღომი ორი ნაბიჯის მიდებარე ტერიტორია

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	უზნაძის 52

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საზოგადოებრივი ტრანსპორტი
	ტრანსპორტირების სახე

10	X
	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ელემენტი ენერჯაიზერი 1ც 2ა	50663	ცალი	200.0000	2.0000	400.0000

13	400 - ოთხასი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	გადარიცხვა GE81PC0133600100063179 პროკრედიტ ბანკი MIBGGE22 თი ბი სი ბანკი GE26TB 1843 1360 2010 0004

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 25/09/2017, 16:27:27